




იმისთანა წმინდა საღმრთო, ბოგბოღ ბუქ-
უბი სიფყავა, ცუდიუბით და ჭბბბბით ბუბ-
ბის გაცანა ყუბა უკადბბბბბბუ უსბბბბბბბ.

ბაბბბბ 1918 წლის
25 ივბბბბბბბ

რეპრეზენტაცია

შაბათი, 8 დეკემბერი. 2018 წ. №248-249 (8649-8650) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ალბერტ აინშტაინის საიდუმლო წერილი ლეონიდას



ლაფერი, რაც პლანეტას აცარიელებს. თუმცა ყოველი ცალკეული ინდივიდი თავის თავში პატარა, მაგრამ ძლიერი სიყვარულის გენერატორს ატარებს, რომლის ენერჯია საკუთარ გათავისუფლებას ელოდება. როცა ჩვენ ვსწავლობთ ამ ენერჯიის გაცემას და მიღებას, ძვირფასო ლისერლ, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სიყვარული ყველაფერს ამარცხებს, და ყველაფრის დაძლევა შეუძლია, რადგან სიყვარული სიცოცხლის კვინტენსენციაა.

ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ შევძელი გამოთქმა ის, რაც ახლა ჩემს გულშია, რომელიც ჩუმად ფეთქავს მთელი ცხოვრება შენთვის. იქნებ, ძალიან გვიანაა, რომ პატიება გთხოვო, მაგრამ დრო ფარდობითია. მე უნდა გითხრა, რომ მიყვარხარ და მადლობელი ვარ, რომ შენი წყალობით მივიღე საბოლოო პასუხი!

შენი მამა
ალბერტ აინშტაინი

მხოლოდ სიყვარულით შეგვიძლია, ვიპოვოთ ცხოვრების აზრი, შევინარჩუნოთ მსოფლიო და ყოველი მოაზროვნე ან მგრძობიარე არსება. დავეხმაროთ ჩვენს ცივილიზაციას გადარჩენაში. შესაძლებელია, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვართ მზად, რომ შევექმნათ „სიყვარულის ბომბი“ – საკმაოდ ძლიერი მოწყობილობა, რათა ბოლომდე გავანადგუროთ ზიზღი, ეგოიზმი, სიხარბე, ყვე-

სიჩქარეზე კვადრატში, მივაღებ დასკვნამდე, რომ სიყვარული უბლიერესი ძალაა, რადგან არ გააჩნია საზღვრები.

მხოლოდ სიყვარულით შეგვიძლია, ვიპოვოთ ცხოვრების აზრი, შევინარჩუნოთ მსოფლიო და ყოველი მოაზროვნე ან მგრძობიარე არსება. დავეხმაროთ ჩვენს ცივილიზაციას გადარჩენაში. შესაძლებელია, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვართ მზად, რომ შევექმნათ „სიყვარულის ბომბი“ – საკმაოდ ძლიერი მოწყობილობა, რათა ბოლომდე გავანადგუროთ ზიზღი, ეგოიზმი, სიხარბე, ყვე-

P. S.

ამერიკული გამოცემების ინფორმაციით, წერილი, რომელმაც სოციალურ მედიაში უდიდესი პოპულარობა მოიპოვა, პირველად 1992 წელს გამოჩნდა და The Love Letters-ში დაიბეჭდა. თუმცა აინშტაინის რომელიმე შთამომავალმა გადასცა გამომცემლობას აღნიშნული წერილი, არ სახელდება. შესაძლებელია ისიც აინშტაინის შვილიშვილია, ვეელინა ალმოაჩინა სხვა დანარჩენ წერილებთან ერთად, აინშტაინის და მისი მეუღლის მიმოწერას რომ ასახავს. ერთი კი ფაქტია, მეცნიერის ქალიშვილი ლისერლი, რომლისთვისაც მამამ ეს საოცარი წერილი დაწერა, ამას ვერ შეძლებდა... აინშტაინის თავისი ქალიშვილი ლისერლი ბოლოს, 1903 წელს ჰყავს მოსკოვში მყოფი მისი მეუღლისადმი მიწერილ წერილში. ლისერლი დაბადებიდან ქმედუნარო იყო და 1903 წელს, ქუნთრუშით გარდაიცვალა 2 წლის ასაკში. ეს წერილი ამ დღეებში აშტაინის ვ მილიონ დოლარად ბაიჭიდა!

„როდესაც მე ფარდობითობის თეორია შევთავაზე, ძალიან ცოცხალ ესმოდა ჩემი, და იმასაც, რასაც მე ახლა გაგიმხელ კაცობრიობისთვის გადასაცემად, ასევე გადააწყდება გაუგებრობას და მსოფლიოში გაშეფუთულ ცრურწმენებს.

მე გთხოვ, შეინახო ეს წერილი იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო იქნება-წლები, ათეული წლები, სანამ სამოგადობა არ განვითარდება საკმარისად იმისთვის, რომ მიიღოს ის, რასაც ქვემოთ აგისხნი.

არსებობს ძალიან ძლიერი ძალა, რომელსაც მეცნიერებამ აქამდე ვერ მოუძებნა ახსნა. ეს ძალა მოიცავს და განაგებს სხვა დანარჩენ მოვლენებს, რომლებიც სამყაროში მოქმედებენ. ეს არის ყოველსმომცველი ძალა – სიყვარული.

როდესაც მეცნიერები სამყაროს ერთიანობის თეორიას ეძებდნენ, მათ დაავიწყდათ ყველაზე ძლიერი და უხილავი ძალა. სიყვარული არის სინათლე, რომელიც ანათებს მას, ვინც გასცემს და უკანვე იღებს მას. სიყვარული – ეს არის მიმიღებლობა, რადგან ის აიძულებს ადამიანებს, იგრძნონ სხვა ადამიანების მიმართ ლტოლვა. სიყვარული – ეს არის ძალა, რადგან ის ამრავლებს ყველაფერს საუკეთესოს, რაც ჩვენშია, რაც ჩვენ ვართ, და ნებას აძლევს ადამიანებს, არ ჩაიბირონ ბრმა ეგოიზმში. სიყვარულისთვის ვცხოვრობთ და ვკვდებით. სიყვარული არის ღმერთი, და ღმერთი არის სიყვარული. ეს ძალა ყველაფრის ახსნას იძლევა და ცხოვრების აზრს გვაძლევს. ის ცვალებადია, რადგან შედგება დიდხანს ვახდენდით მის იგნორირებას, იქნებ იმიტომ, რომ ჩვენ გვეშინია სიყვარულის.

სიყვარულის გასაცემად მე ჩემს ცნობილ განტოლებაში მარტივი ცვლილება მოვახდინე. თუ ნაცვლად E=mc², ჩვენ ვაღიარებთ, რომ მსოფლიოს სამკურნალოდ საჭირო ენერჯია მიიღწევა სიყვარულის გამრავლებით სინათლის

ჯანსუღ ჩარკვიანის ყველაზე დიდი მტერი პოეტის „კუბლისტი“ ქალიშვილია!

4

„იმაზე კარბი რა უნდა იყოს, კასს თაფლი მისცე და ლეონიდას 5 სანთელი!..“

ვეფხტაკოუბა

„უზრახვიშვილს უსუკუბბბ, რომ ყველა კარბი კარბი იყოს!..“

„რუსეთის საქართველოსთან ნორმალური ურთიერთობები სურს. ვიმედოვნებ, რომ არჩეული პრეზიდენტის დროს განვადგრობთ კონსტრუქციული თანამშრომლობის განვითარებისთვის გზების გამოძებნას. ჩვენ ზურაბიშვილს ვუსურვებთ, რომ ყველა ქართველის პრეზიდენტი იყოს და გააკეთოს ის, რაც მისი ხალხისთვის კარგია. რაც შეეხება ჩვენს ორმხრივ ურთიერთობებს, თბილისთან კარგი ურთიერთობები გვსურს“, – განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა.

თბილისის ბარდის ისტორია

7

ჩვენი ურყევი პოლიტიკური ნება



საპარტიო და ქართულ დემოკრატიაში თვითმმართველობას ყოველთვის განსაკუთრებული როლი ჰქონდა და განსაკუთრებულია, რომ დღევან-

დელი ჩვენი ხედვა სრულ თანხედრებაში ჩვენი წინაპრების ხედვასთან, პირველ რესპუბლიკასთან თუ როგორ სურდათ მათ საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუციური დიალოგის გენერალურ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

ტურ უფლებებს, ამავე დროს, ქმნის ისეთ პირობებს, რომ სწორედ თავისუფალ მოქალაქეთა ნებას ემყარებოდა როგორც საერთო ეროვნული, ისე რეგიონალური და ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტა. მისივე თქმით, აუცილებელია რეგიონალური მმართველობა დემოკრატიულად განვითარდეს.

„საქართველოს მთავრობას აქვს ურყევი პოლიტიკური ნება, გააგრძელოს და ბოლომდე მიიყვანოს დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის დემოკრატიის პროცესი. მინდა, მაგალითად გადავუხადო ყველას, ვისი ინიციატივითაც შეიქმნა სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფ-

პარლამენტი იქნება აღმოსავლეთი თვითმმართველობის ბაქლიერების იდეის აქტიური მხარდამჭერი

პარლამენტი იქნება აქტიურად ჩართული ყველა იმ რეფორმაში, რომელიც არის დაკავშირებული დეცენტრალიზაციასთან და საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერებასთან, - ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუციური დიალოგის გენერალურ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

ტიური ჩართულობა. აქედან გამომდინარე ამ ჩართულობის მექანიზმების დახვეწას უდიდესი როლი უნდა დაეთმოს. დღეს პარლამენტი მთავრობასთან ერთად აქტიურად მუშაობს ასეთი ახალი ინსტიტუციური მექანიზმების შექმნაზე, რომელიც სწორედ აქეთვე იქნება მიმართული. მიმართული იქნება მოქალაქეების მაქსიმალურ ჩართულობაზე ადგილობრივი ხელისუფლების განხორციელებაში.

მისივე თქმით, მნიშვნელოვანია გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯები იმისათვის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა განვითარდეს. „ამისათვის არის საჭირო მკაფიო ხედვის არსებობა, დეცენტრალიზაციის სტრატეგიის არსებობა და მოხარული ვარ, რომ ამ საკითხზე აქტიურად მუშაობს მთავრობა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. პარლამენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს მზადყოფნას, აქტიურად იყოს ჩართული ამ პროცესში. უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს დეცენტრალიზაციის განხორციელება, რაც გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის



მეტი უფლებამოსილების და მეტი რესურსების გადაცემას, - აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

მოსამართლის მხრიდან იყო მოტივაციის პრობლემა, მაგრამ ეს მერაბიშვილს უკანონო ბრალდებად არ აქცევს

სტრასბურგის სასამართლომ ჩვენ დაგვიდგინა, რომ ვანო მერაბიშვილის დაკავება და წინასწარი პატიმრობა კანონიერი და საფუძვლიანი იყო, ეს გახლავთ კონვენციის მე-5 პირველი მუხლი, - განაცხადა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა პირველი არხის გადაცემაში „კვირის ინტერვიუ“ სტუმრობისას.



ამ განცხადებით თეა წულუკიანმა გადაცემის წამყვანის შეკითხვას უპასუხა, რამდენად სარწმუნოა დღეს გამოქვეყნებული დოკუმენტის ერთ-ერთი არაოფიციალური თარგმანი, რომლის მიხედვითაც, 2013 წლის 25 სექტემბრიდან მე-5 მუხლის მე-3 ნაწილიც დაირღვა, რადგან მათი გადაწყვეტილებით, ვანო მერაბიშვილის პატიმრობაში დატოვების საფუძველი არ არსებობდა.

„დღეს გამოქვეყნებულ დოკუმენტში საუბარია მე-5 მუხლის მე-3 ნაწილზე. ეს იმას ნიშნავს, რომ სტრასბურგის სასამართლო ამონებს ხოლმე, მოსამართლეებმა რამდენად კარგად დაასაბუთა, როდესაც ამა თუ იმ პირს, აღკვეთის ღონისძიებით სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, ან გაუგრძელა. აქ საუბარია იმაზე, რომ მოსამართლეს აქვს ვალდებულება, პირს წინასწარი პატიმრობა არა მხოლოდ კანონიერად და სწორად შეუფარდოს, რაც მე-5 პირველი მუხლის საკითხია და აქ, დარღვევა არ დადგინდა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, მერაბიშვილი უკანონო პატიმარი იქნებოდა, რაც ასე არ ჩაითვალა და არ არის, მაგრამ დადგინდა, რომ იმ ერთ გადაწყვეტილებაზე, რომლის თარიღიც თქვენ ახსენეთ, მოსამართლემ წინასწარი პატიმრობა სწორად გაუგრძელა, მაგრამ სხდომაზე ზეპირად გამოაცხადა და წერილობით, ან ზეპირად უნდა დაესაბუთებინა, თუ რატომ იყო ამის საჭიროება. იყო მოტივაციის პრობლემა, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, მაშინდელ ბრალდებულ მერაბიშვილს უკანონო ბრალდებულად არ აქცევს“, - განაცხადა წულუკიანმა.

მისი თქმით, ამაზე მეტყველებს ფრაზა, რომელიც დოკუმენტში წერია, რომ აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე, არც მიზანშეწონილი და არც აუცილებელი არ არის, საქართველოს მთავრობას ბატონი მერაბიშვილის პატიმრობიდან გათავისუფლება მოეთხოვოს.

„თუკი მინისტრმა კომიტეტმა დაგვაპლა ვანო მერაბიშვილის ბათავისუფლება, რატომ არის ის საპატიმროში?“


იუსტიციის მინისტრის განცხადებით, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ვანო მერაბიშვილის გათავისუფლების შესახებ რეკომენდაცია გაცემული არ არის.

„თუკი გუშინ გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებაში მინისტრთა კომიტეტმა ჩვენ მთავრობას დაგვაპლა, რომ ვანო მერაბიშვილი უნდა ყოფილიყო გათავისუფლებული, რატომ არის მერაბიშვილი საპატიმროში? პატიმრობა ორ კონკრეტულ საქმეზე იყო კანონიერი, რადგან სწორედ ამას ასაჩივრებდა მერაბიშვილი სტრასბურგის სასამართლოში.



აშშ-ის პლენი: იმედს ვიტოვებთ, რომ ნებისმიერი სამართლებრივი მოქმედებები იქნება სამართლიანი!

ევროსაბჭოს კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, რაც შეიძლება დროულად გამოიძიოს მთავრობამ ყოფილი პრემიერის ციხიდან გაყვანის ფაქტი, გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და დაინწყოს მათზე სისხლის სამართლებრივი დევნა.



„კონკრეტულად ევროპის საბჭოს კომიტეტის განცხადებაზე ვერ გავაკეთებ კომენტარს, თუმცა აშშ-სთვის კანონის უზენაესობა არის მნიშვნელოვანი. შესაბამისად, ნებისმიერი საკითხი, რაც ამას შეეხება, არის მნიშვნელოვანი. იმედს ვიტოვებთ, რომ ნებისმიერი სამართლებრივი მოქმედებები, რაც უნდა აღსრულდეს, იქნება სამართლიანი,“ - აცხადებს როს იულსონი.

დიას, პეტრო პოროშენკოს საარჩევნო კამპანიაში აქტიურად მიქნები ჩართული - გიორგი ვაშაძე

ბაზრთიანებულნი ოპოზიციის „ძალა ერთობაშია“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ვაშაძე ადასტურებს, რომ უკრაინის პრეზიდენტის პეტრო პოროშენკოს საარჩევნო კამპანიაში ჩართვება.



მისი თქმით, „ის ძირითადად იქნება საქართველოში“. „მე უკრაინაში ძალიან დიდი გუნდი მყავს, ვაკეთებთ ძალიან ბევრ რეფორმას, მათ შორის არის ანტიკორუფციული სასამართლო, ანტიკორუფციული ბიურო, იქაური იუსტიციის სახლის ბრენდი „გოტოვო“ და ა.შ. რაც შეეხება პოროშენკოსთან მიმართებაში, დიას, ვიქნები ძალიან აქტიურად ჩართული. ჩვენი გუნდის მიერ უკრაინის განვითარების სრულიად ახალი გეგმა არის შემუშავებული, რაც არის აბსოლუტურად ინოვაციური და განსხვავებული. ძირითადად ვიქნები საქართველოში, აქედან ვერ გამაგდებენ“, - განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

საქართველოს პრეზიდენტს, ქალბატონ სლობო ზურაბიშვილს

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ თავისი მრავალრიცხოვანი წევრების შემადგენლობით გულწრფელად, ღრმა პატივისცემით და მომავალი ბედნიერი საქართველოს რწმენით ერთსულოვნად გილოცავთ 2018 წლის ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას!

ჩვენთვის დიდი სიამაყე და სიხარულია ის, რომ ევროპაში დაბადებული და გაზრდილი ქართველი ქალბატონი, მსოფლიო მასშტაბის დიპლომატი, პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე თავისი მშობლიური ქვეყნის პრეზიდენტი გახდა, რაც ქართული დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების, საქართველოს მოსახლეობის ნების, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის დამშვიდების, ერის გამთლიანებისათვის საზოგადოების სურვილის გამოსახატულებაა. ამიტომაც ჩვენი ასოციაციის ქალბატონები საქარ-

თველოს ყველა რეგიონში აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი წინასაარჩევნო კამპანიაში სასურველი შედეგის მიღებისათვის.

გისურვებთ ჯანმრთელობას, სულიერ სიმშვიდეს და ოჯახის კეთილდღეობას. მუდამ გამარჯვების გზით გველოთ საქართველოს პრეზიდენტობის რთულ გზაზე.

გვიგულეთ თქვენ გვერდით. გვაქვს თქვენთან შეხვედრის მოკრძალებული თხოვნა თქვენთვის მისაღებ დროსა და ადგილზე. გვსურს, გაგაცნოთ ჩვენი ასოციაციის საქმიანობა და სამომავლო გეგმები, რაც ხელს შეგვიწყობს საქმიანობაში ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ღრმა პატივისცემით და შეხვედრის იმედით
მაია კვიციანი-კოვაძე,
ასოციაციის თავმჯდომარე



ბიუჯეტში ფული არის, მაგრამ დახარჯვას ვერ ახერხებენ

როგორც მოსალოდნელი იყო, წლის ბოლოს საბიუჯეტო პრობლემებმა იჩინა თავი და მთავრობა იძულებული გახდა, ხარჯები შეეკავებინა. რამდენიმე მიმართულებით ბიუჯეტში სერიოზული ცვლილება შედის, რაც იმის მანიშნებელია, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების დიდი ნაწილი ჩაყარდა.

პარლამენტში შეტანილი ცვლილებების თანახმად, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის გათვალისწინებული ხარჯები 269 მლნ ლარით მცირდება და 1 546 მლნ ლარს შეადგენს.

„2018 წელს დაგეგმილი იყო მასშტაბური საგზაო პროექტების დაწყება, მათ შორის ჩქაროსნული მაგისტრალის რიკოთის მონაკვეთი და ჩრდილოეთი-სამხრეთი მაგისტრალის ურთულესი მონაკვეთი (ქვეშეთი-კობი). აღნიშნული პროექტები გამოირჩევა კომპლექსურობით და წინა მოსამზადებელი სამუშაოების ხანგრძლივი და რთული ეტაპებით, შესაბამისად, პროექტები ნაწილობრივ გადაინაცვლებს შემდეგ წლებში. გასათვალისწინებელია, რომ რიკოთის მონაკვეთის 4 კომპონენტიდან მიმდინარე წელს პირველი ტრანშები გადაირიცხება ორ მონაკვეთზე. ზოგიერთი პროექტის შესრულების ვადების გადინებასთან ერთად ბიუჯეტში ხდება ამ პროექტებისთვის დონორების მიერ გამოყოფილი საკრედიტო რესურსების კორექტირებაც“, – ნათქვამია დოკუმენტის განმარტებით ბარათში.

კანონპროექტის მიხედვით, საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად მიღებული გრძელვადიანი, შეღავათიანი კრედიტები მცირდება 321 მლნ ლარით და განისაზღვრება 915.8 მლნ ლარით, დაგეგმილი პროექტების ნაწილობრივ, მომდევნო წლებზე გადანაწილების გათვალისწინებით.

რაც შეეხება მიმდინარე წელს მისაღებ გრანტებს, ეს მაჩვენებელიც მცირდება – 74.3 მლნ ლარით.

„მათ შორის საბიუჯეტო დახმარებების სახით მისაღები გრანტები მცირდება 50,0 მლნ ლარით,

ვინაიდან შესაძლებელია, ევროკავშირიდან მისაღები გრანტების მიღება ნაცვლად 2018 წლის დეკემბრის ჩამორიცხოს 2019 წლის იანვარში. საინვესტიციო პროექტებზე გამოყოფილი გრანტების მოცულობა მცირდება 24,3 მლნ ლარის ოდენობით“, – აღნიშნულია ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტში.

ახალგაზრდა ფინანსისტა და ბიზნესმენტა ასოციაციის წარმომადგენელი გიორგი კაპანაძე ხელისუფლებას ამ საკითხის დროულად მოგვარებისკენ მოუწოდებს.

„ბიუჯეტის პრობლემა აქვს და ეს არ არის ახალი ამბავი. ჩვენი ორგანიზაცია ჯერ კიდევ წლის დასაწყისში აღნიშნავდა, რომ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემა იყო.

ეს ჩანს იქიდანაც, რომ შემცირდა ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსების ხარჯი. ფაქტია, რომ დღესაც ვერ გვარდება ტენდერების პრობლე-



მა და შემდეგ მათი დროულ ვადებში შესრულება გადაუჭრელ საკითხად რჩება. ჩვენ ვხედავთ, რომ სამინისტროს მიერ განსახორციელებელი პროექტების უმეტესი ნაწილი დროში გაწეულია, გადავადებულია და შესრულება გვიანდება. სამწუხაროა, სწორი იყო, რომ ბიუჯეტი შემცირდა, რათა იგივე ტენდენცია არ მიგველო“, – აცხადებს კაპანაძე.

ბიუჯეტთან დაკავშირებით ბოლოს ისიც გაიკვია, რომ აქციზიდან მისაღები შემოსავლების გეგმა, სავარაუდოდ, ვერც წელს შესრულდება. ამიტომ იგი უკვე შეკვეცეს. აქციზის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 420,0 მლნ ლარის ოდენობით, რაც 30 მლნ ლარით ნაკლებია 2018 წლის დამკვიტებულ გეგმასთან შედარებით.

დანიელ პაპაშვილი

ყოფილა საჭიროა დიალოგთან სხვა, ჩიჩქი მოუსხო ყველაფრისთვის, რასაც ნაკომპაღბან!

„მწარე წინასაარჩევნო კამპანიის დროს ჩემმა ოპონენტმა, მოსკოვში განათლება მიღებულმა ყოფილა საჭიროა დიალოგთან სხვადა ჩიჩქი მოეცხო ყველაფრისთვის, რასაც წარმოვადგენ, მათ შორის ჩემი პატრიოტიზმის და პრო-დასავლურობისთვის. ასლა ჩემზეა, რომ გავაერთიანო ეს ქვეყანა. მე შევეცდებო, დავაცხრო პარტიული დაყოფა და სხვა დაძაბულობა ხალხში და გავაუმჯობესო ჩვენი დემოკრატიული პროგრესი. მადლიერი ვარ მათი, ვინც ხმა მომცა. მადლიერი ვარ იმათიც, ვინც ხმა არ მომცა, რადგან დემოკრატიულ პროცესში მიიღეს მონაწილეობა. პირობას ვდებ, რომ ვიქნები საქართველოს დემოკრატიული განვითარების, ინდივიდის თავისუფლების და კანონის უზენაესობის გარანტი. ყოფილი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი მმართველობისას უფრო ავტორიტარული გახდა. მე გამოვიყენებ ჩემთვის მონიჭებულ ყველა ძალას, რათა საქართველომ შეინარჩუნოს დემოკრატიული კურსი და არ დაუშვას, რომ ვინმეს მხრიდან ჩვენი თავისუფლებით სპეკულაცია. ამ არჩევნებში აჩვენა კიდევ ერთი ნახტომი საქართველოსათვის. მაგრამ კამპანიის ხარვეზები გვახსენებს, რომ პროგრესი კვლავ საჭიროა, რათა მივალნიოთ ჩვენს მიზანს და გავხდეთ ევროპული დემოკრატია“, – წერს ზურაბიშვილი Financial Times-ში გამოქვეყნებულ სტატიაში.

სასაპარტილო მინების უსწოლეზე გახსენიანები მოკატორიუმი არაკონსტიტუსიურად სნას

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხოეთის მოქალაქეებზე გასხვისებასთან დაკავშირებით დაწესებული მორატორიუმი არაკონსტიტუციურად გამოაცხადა.

მორატორიუმის არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში საბერძნეთის მოქალაქეებმა შეიტანეს, რომლებიც საქართველოში მემკვიდრეობით მიღებული მიწის ნაკვეთების საკუთრებაში დარეგისტრირებას მორატორიუმის გამო ვერ ახერხებდნენ. პლენუმმა გადაწყვეტილება საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამოაცხადა, რადგან სასამართლოს ანალოგიური გადაწყვეტილებები 2012 და 2014 წლებში მიღებული აქვს.



შეგახსენებთ, უცხოეთის მოქალაქეებზე მიწების გასხვისების მორატორიუმი ძალადაკარგულად გამოცხადდა, თუმცა შეზღუდვები მხოლოდ 16 დეკემბრამდე მოიხსნა, რადგან პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ ახალი კონსტიტუცია ამოქმედდება, რომელიც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხოეთის მოქალაქეებზე გასხვისების შესახებ შეზღუდვებს კვლავ აწესებს.

საბერძნეთის მოქალაქეებს, რომლებმაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს, მიწების დასარეგისტრირებლად 9-დღიანი ვადა აქვთ.

შრომითი მოვალეობის უსრულებიან დაშავდა 77 და ბარდისვალა 35 ადამიანი

2018 წელს კვლავ მძიმეა ქვეყანაში შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებული მდგომარეობა, – ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ“.

როგორც ომბუდსმენი აღნიშნავს, მხოლოდ წლის პირველ ნახევარში შრომითი მოვალეობების შესრულებისას დაშავდა 77 და გარდაიცვალა 35 ადამიანი.



„2018 წელს მართში მიღებულ იქნა კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტით დადგენილ რიგ ფუნდამენტურ პრინციპებს და ქმნის შრომის უსაფრთხოების მხრივ არსებული ვალდებულებების აღსრულების მექანიზმს. თუმცა, მისი მოქმედება ვრცელდება მხოლოდ მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე. ამასთან, შედამხედველ ორგანოს არ აქვს დამსაქმებელთან უპირობოდ დაშვების მანდატი. საერთაშორისო სტანდარტებით შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია სანქციონების მექანიზმით აღჭურვილ შრომის ინსპექტორებს ჰქონდეთ უფლება თავისუფლად და წინასწარი შეტყობინების გარეშე, დღის ან ღამის ნებისმიერ მონაკვეთში შევიდნენ ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ნებისმიერ სამუშაო ადგილზე და მოიკვლიონ. დადებითად უნდა შეფასდეს, საქართველოს პარლამენტში „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის ინიცირება, რომელიც ზემოაღნიშნულ ფუნდამენტურ პრინციპებს ითვალისწინებს. კანონპროექტი პირველი მოსმენით მიღებულ იქნა 31 ოქტომბერს, თუმცა მეორე მოსმენით მისი განხილვა არ დაწყებულა. სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს აღნიშნული კანონის დროულად მიღებისა და ამოქმედების მნიშვნელობას“, – ნათქვამია ანგარიშში.

ბასსულ ზაფხულს გამოვაქვეყნე წერილი სათაურით – „ბაბაჩირაძე, ბაბაჩირაძე“ ანუ... „აბა ვდგამარ და სხვაბაბაჩირაძე არ ძალმძის“, რომელიც ქართულ პოლიტიკაში მოულოდნელად შემოჭრილ ქალბატონ „პუბლიცისტი“ თაკო ჩარკვიანს ეძღვნებოდა და რადგანაც მას შემდეგ არათუ დაოკდა მთანმინდის ბინადრის ქალიშვილი, არამედ, რომ იტყვიან, აფრები უფრო აუშვა და იქამდეც მივიდა მისი ამბიციები, რომ ახალი, ე.წ. მესამე ძალაზე პრეტენზიის მქონე მოძრაობის ჩამოყალიბებაზე განუზრახავს.

აქედან გამომდინარე ვთავაზობ მკითხველს ზემოთ ხსენებული ჩემი წერილის დღევანდელთან მისადაგებულ ვარიანტს...

ბასსული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების მთავარი იდეოლოგად მწერალი გურამ პეტრიშვილი მოგვევლინა. მეზღაპრე, რომელიც იდეოლოგობის პარალელურად არა მხოლოდ ქართული ენის სინმინდეს იცავდა, არამედ გოგებაშვილის დედაუნის ახალი სიტყვებით „გამდიდრებასაც“ ცდილობდა. მაგალითად: ვიოლინო – ყელფანდურა და ვერტმფრენი ცათქვეფია იყო პეტრიშვილისეული ქართული ენის ახალი განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით. ლექსიკონის, რომლის გამოცემა ცნობილ მიზეზთა გამო ვერ მოხერხდა. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობაგაშვებით...

სერიოზულად კი, ბატონმა გურამმა პრესაში გამოაქვეყნა წერილი სათაურით „რამდენადაც მშვენიერი ხარ“, რომელშიც, უკაცრავად პასუხია, და დიდ ქართველ მეგობარს-მეგობარს დიანა ისაკაძეს ქართული მეტყველება დაუნუნა?!

პასუხად ცხონებულმა კოტე მახარაძემ რომელიღაც გაზეთში გამოაქვეყნა ვრცელი წერილი სათაურით – „გააჩერეთ, გააჩერეთ“, რომლითაც არა მხოლოდ დიანა ისაკაძეს იცავდა, არამედ „გააჩერეთ“ ავტორის ნებით თუ უნებურად, გამსახურდიას ხელი-სუფლების ოდიოზური სხვა პერსონებიც იგულსხმებოდნენ, რომელთა ნაკლებობას, სამწუხაროდ, ნამდვილად არ უჩიოდა „მრგვალი მაგიდა“ და უფრო მეტიც – დღეს რომ ქვეყნის არაფორმალურ მართვას „აბრალებენ“ ბიძინა ივანიშვილს, მაშინაც იყო მსგავსი რამ ზვიად გამსახურდიას ცოლის, ცოლისდისა და მათი დაქალის შესრულებით – მანანასა და ლელე არჩვაძეების, მანანა ძოძუაშვილის „რეკომენდაციებით“ ხსნიდნენ და ნიშნავდნენ პრეფექტებსა თუ მინისტრებს და სწორედ ეს „წვრილმან-მსხვილმანი“ აღმოჩნდა თავი და თავი მიზეზი ჯერ-ჯერობით პირველი და ერთადერთი ეროვნული ხელისუფლების ჯერ დამსხობისა და შემდეგ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაღუპვისა!

რომ არა მეზღაპრე იდეოლოგები, მედოლე პრეფექტები, სახელმწიფოს მართვაში პრეზიდენტის ოჯახის წევრების აქტიური ჩართულობა და ყველაზე მთავარი, რომ არა საქართველოს უზენაესი საბჭოდან კომუნისტების (რომელთა რაოდენობა საბჭოთა საქართველოში 400 ათასს აჭარბებდა) ერთი ხელის მოსებით გაყრა და აქედან გამომდინარე წითელი ინტელიგენციის ცნების გაჩენა, ერთ მუშტად შეკრულ საქართველოს ვერც ბალტინის ტანკები დააკლებდნენ რამეს და ვერც „ცერეუს“ აგენტები!

დაახლოებით ბოლო 2 წელიწადია, რაც კოტე მახარაძისეული „გააჩერეთ, გააჩერეთ“ აღმომხდებდა ხოლმე შუნტირებული გულიდან ტელეეკრანზე ქალბატონი თაკო ჩარკვიანის მორიგი გამოჩენისას – ხელოვნურად ოდნავ მოჭუტული თვალებიდან ზემოდან ქვემოთ, საკუთარი უპირატესობის ხაზგასმულმა, აშკარად ასევე ხელოვნურად დაყენებულმა „არისტოკრატიულმა“ მხერამ, ლამის ნახევარ საქართველოს ნევროზი დამართა – ამ ქალბატონის სხვადასხვა ტელეეკრანებში სამშობლოს ბედზე ვაივიში ამპარტავნებასთან შერწყმული ფარისევლობა და სხვა არაფერი!

ზემოთ თაკო ჩარკვიანის მისამართით არაერთხელ ვახსენე სიტყვა პუბლიცისტი

ტი ბრჭყალებში იმიტომ, რომ, როგორც ლევან ლორთქიფანიძემ აღნიშნა „კავკასიის“ პირდაპირ ეთერში, „პუბლიცისტიკა არ არის ქმრის ფულებით მამის გაზეთში 2-3 სტატიის გამოქვეყნება, მით უმეტეს, რომ ამ სტატიებს არავინ კითხულობს!“

მიუხედავად ამისა, როდესაც ეს



„პუბლიცისტი“ ქალიშვილია!

ქალბატონი ტელეეკრანში ზის, მის ქვემოთ მაინც ტიტრი, პუბლიცისტი თაკო ჩარკვიანი ფიგურირებს, რაც ჩემში უნებურ პროტესტს იწვევს, რადგან თურმე თქვენი მონამორჩილი ტყუილად ვითხრი თვალებს კომპიუტერთან, რომ კვირაში ერთხელ მაინც რაიმე დავეწერო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვერა ვარ ამისთანა თავხედი, რომ საკუთარ თავს პუბლიცისტი ვუნოოდო იქით ილიას, აკაკის, ვაჟას და აქეთ გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიას და სულმთლად აქეთ ჩვენი თანამედროვეების: გურამ ფანჯიკიძის, გურამ ასათიანის და ა.შ. სხვა მრავალ ბრწყინვალე პუბლიცისტთა ქვეყანაში.

თუმცა არც ეგ არის დიდი დანაშაული. პუბლიცისტი კი არა, ასეც უქნია ჯულიეტა ვაშაყმაძე დაირქვას. მთავარი ის არის, რომ „პუბლიცისტი“ თაკო ჩარკვიანი სიცრუეს ავრცელებს ტელეეკრანებიდან. მაგალითად, იმას, რომ ცხონებული ჯანსუღ ჩარკვიანი მთელი სიცოცხლე საბჭოთა იმპერიას ებრძოდა და იმას ვერ ხვდება „პუბლიცისტი“, რომ ასეთი „მამალი“ ტყუილით პირველ რიგში მამის სახელს აგდება უხერხულ მდგომარეობაში – რა, საბჭოთა საქართველოში არსებულ პრემიებსა და ჯილდოებს, „ცეკას“ ნომენკლატურულ მაღალ თანამდებობებს სსრკ-ის ნგრევისთვის აძლევდნენ ჯანსუღ ჩარკვიანს?

რა თქმა უნდა, კითხვა რიტორიკულია, რადგან სხვა შემთხვევაში გამოდის, რომ, ან კომუნისტები ყოფილან სულელები, ან ქართველი საზოგადოება ჰგონია სულელი „პუბლიცისტი“ თაკო ჩარკვიანს!

მიუხედავად ამისა, „ღმერთი, რჯული“, ვერიდებოდი ქალბატონ „პუბლიცისტი“ საუბარს, რადგან ვიცოდი, რომ უნებურად ამჟამად მთანმინდის ბინადარ (?) ჯანსუღ ჩარკვიანის ხსენებაც მომიწევდა. ვერიდებოდი, რადგანაც ამ შემთხვევაში წინამდებარე სტატიის ოპონენტები სხვა მრავალ სუბიექტურ ფაქტორთან ერთად დროუამისგან გაცვეთილი – „მიცვალებულზე ან კარგი, ან არაფერი“, სენტენციითაც შემომიტყვენ. სენტენციით, რომელსაც კატეგორიულად არ ვეთანხმები, რადგანაც გარდაცვალება, ჩემი აზრით, არ არის ყველაფერზე თვალის დახუჭვის, პირში წყლის ჩაგუბების ინდულგენცია!

კიდევ ერთი სიცრუე, რომლის ტირაჟირებასაც შეფარვით ცდილობს ქალბატონი

ლებდა უკანასკნელ გზაზე – ციტირებაზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ შინაარსობრივად ნამდვილად ეს ბრძანა ჩარკვიანების პირმშვენიერმა „პუბლიცისტი“ ასულმა...

არადა, ნახეთ თავის დროზე რა ლექსი მიუძღვნა „პუბლიცისტის“ მამა-პოეტმა საკუთარ მეგობარ ნუგზარ ფოფხაძეს:

„არც არავინ გაგიმართლა, შენ სულ ყველას გაუმართლე, ვინც ხელი არ გაგიმართა, ყველას ხელი გაუმართე. სიყვარულის სახლთა მშენი, შვილთა აკვნის გამთლელი ხარ, სხვანიარად არ შეგშვენი, თუ ნამდვილი ქართველი ხარ.“

როგორც იტყვიან, უკომენტაროდ, მაგრამ ერთი კი ნამდვილად უნდა ითქვას – მსგავსი ოდიოზური გამობდომები, რომ პირველ რიგში მთანმინდის ბინადარს ურტყამს, ამას ვერ ხვდება ქალბატონი თაკო ან საკუთარი მამის ლექსებს არ კითხულობს?

ალბათ, ვერა და არაც, რადგანაც თუ „ცეკას“ მდივობა „გრუს“ გენერლობას ნიშნავს, მაშინ იგივე ლოგიკით „ცეკას“ ნომენკლატურული თანამდებობები, რომლებიც ბატონ ჯანსუღს საზიზღარ კომუნისტებთან „ბრძოლის“ დროს ეკავა, „გრუს“ გენერლობას თუ ვერა, „კაგებეს“ პოლკოვნიკობას ნამდვილად „ქაჩავს!“

რაც შეეხება ნახევარი მილიონი ქართველის მიერ მთანმინდაზე აბრძანებულ ჯანსუღ ჩარკვიანს – საინტერესოა, თუ ვინ, რომელი თანამდებობის პირი იგულსხმება (ბატონი ბიძინა ხომ არა?) იმ ნახევარ მილიონ ქართველში, რომელმაც, რბილად რომ ვთქვათ, არაშესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო. დიას, არაშესაბამისი და იქნებ არასამართლიანიც, რადგანაც ბატონი ჯანსუღის მთანმინდაზე დაკრძალვის ცნობამ მოწმენდილ ცაზე მესხის გავარდნის ფეფტი იქონია იმ თვალსაზრისით, რომ იმთავითვე, რომ იტყვიან, მხრები „აჩიჩა“ ქართველი საზოგადოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ, მათ შორის, პოეტის საშეგობრომაც, რადგანაც სრული კონსენსუსია იმაში, რომ, რბილად თუ ვიტყვით, ბატონი ჯანსუღი არ არის სამთანმინდე კაცი და თუ სიმართლეს თვალეში ბოლომდე ჩახედავთ: ილიას, აკაკის, ტატოს, ვაჟას, გალაკტიონის, გოგლას და სხვა ბუმბერაზთა ფონზე საკმაოდ უფერულად გამოიყურება „ლომთა ხვედრიას“ ავტორის პოეზია. აღარაფერს ვიტყვი დიდუბის ბინადარ დიდ პოეტებზე, ლადო ასათიანზე, ტურენტი გრანელზე, ირაკლი აბაშიძეზე, მურმან ლებანიძეზე, შოთა ნიშინიძეზე და ა.შ.

აქედან გამომდინარე ე.წ. „მხრების აჩიჩა“ მომავალშიც გაგრძელდება...

ყველაზე კარგად ეს ქვეყნის მამა-ბატონი ჯანსუღის „პუბლიცისტი“ ქალიშვილი უნდა იცოდეს და პირველ რიგში მას უნდა ეუხერხულებოდეს, რადგანაც კუთვნილზე მეტი პატივი ისეთივე მავნებელია, როგორც დაუმსახურებული ლანძღვა!



დავით მხიძე

P. S.

ღასასრულ, მცირე ლირიკული გადახვევა ისევ ქალბატონი „პუბლიცისტი“ გასაგონად, რომელიც აღვირაბსნილი რუსოფობიით გამოირჩევა და ყველანი, ვინც პრაგმატულობიდან გამომდინარე, რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აუცილებლობაზე ვსაუბრობთ, კრემლის აგენტები ვართ – „რუსეთთან ქმური ურთიერთობები უნდა აღდგას და ეს უნდა მოხდეს ქალიან მალე“ – ეს ჩვენი ბრძენი და საყვარელი პატრიარქის სიტყვებია და რას ნიშნავს ეს, პატრიარქიც კრემლის აგენტია?

პატრიარქი, რომლის მზესაც ქალბატონი „პუბლიცისტი“ მთანმინდის ბინადარი მამა ფიცულობდა!..

დ. გ.

„იმეზე კარბი რა უნდა იყოს, კაცს თაფლი მისცე და ღებრის სანთელი!..“



რამაზ თაშარტიძე

საქართველოს მეფუტკრეობის ასოციაციის პრეზიდენტი

ძართული რუხი ფუტკარი სრულიად უნიკალური, სხვათაგან გამორჩეული მწერი რომ არის და, შესაბამისად, მის მიერ წარმოებული თაფლი უზადო თვისებების მქონეა, ამას 1961 წელს გერმანიის ქალაქ ვერფრუტში, 1966 წელს რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტსა და 1971 წელს მოსკოვში გამართულ მსოფლიო გამოფენებზე მიღებული ოქროს მედლები მოწმობს. დაახლოებით ამ ხანებში, კერძოდ, 1966 წელს მოსახლეობაში მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მეფუტკრეთა კავშირი

შეიქმნა. თავდაპირველად ორგანიზაცია სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო და უდიდესი როლი შეასრულა ქართული ფუტკრის თანდაყოლილი უზადო თვისებების შენარჩუნებაში, მაგრამ მერე და მერე, ქვეყანაში მეფუტკრეობის დარგის განვითარებას ყველა გზა მოეჭრა – გაუქმდა ერთადერთი სამამულო მეფუტკრეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, განადგურდა ქართული რუხი ფუტკრის ჯიშის შენახვა და სხვ. დარჩა მხოლოდ ეგრეთ წოდებული „ველური მეფუტკრეობა“. ყოველივე ეს, რო-

გორც აღვნიშნეთ, 90-იან წლებში, საქართველოში ცნობილი სამოქალაქო დაპირისპირების შემდეგ მოხდა. ამ დროისთვის მეფუტკრეთა კავშირის სოლიდური დაფალიანება დაუგროვდა, თუმცა შემდეგ ვალის რესტრუქტურული ზაცია მოხდა და 2011 წლისთვის, როცა ორგანიზაციის პრეზიდენტად მეფუტკრეთა საერთაშორისო ორგანიზაციის (აპიმონდიის) ნამდვილი წევრი რამაზ თაშარტიძე აირჩიეს, იგი უკვე სრულფასოვნად მოქმედებდა. ჩვენი საგულისხმო საუბარიც სწორედ ამ დღეებში შედგა.

– ახლა რა ვითარებაა კავშირში, კონკრეტულად რას საქმიანობთ?

– მეფუტკრეობის სანარმო და გარკვეული იურიდიული საკითხების გადაჭრაში ვებმარებით, განვსახლეთ უფრონაღ „საქართველოს მეფუტკრის“ გამოცემა, საკუთარი სახსრების სიმწირის გამო წელიწადში მხოლოდ 4-5 ნომერს ვუშვებთ. უფრონაღის გავრცელებასაც მხოლოდ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დახმარებით ვახერხებთ, რომელიც მეფუტკრეობის თვისების რაიონული ქვედანაყოფების მეშვეობით აწვდის.

ბოლო წლებში მეფუტკრეობის დარგში კრიზისული ვითარება იყო, ამჟამად კი საქმე ალორძინების გზით მიდის. ერთი პერიოდი ქართული რუხი ფუტკარი განადგურების პირას იყო მისული, ახლა კი, მას შემდეგ, რაც საქართველოს მეფუტკრეთა კავშირი გახდა მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციის – აპიმონდიის წევრი, ის კვლავ ცნობადი ბრენდია. გაისადა კანადის ქალაქ მონრეალში გასამართ მეფუტკრეობის მსოფლიო კონგრესზე ვართ მიწვეული. იგი ორ წელიწადში ერთხელ იმართება და მასში 115 ქვეყანა იღებს მონაწილეობას. კონგრესებზე მიწვევას ჩვენი მეფუტკრეობისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან გამოფენებში მონაწილეობის მიღებისა და ამრიგად, საერთაშორისო ბაზარზე ჩვენი პროდუქციის გატანის საშუალება მოგვცემა.

– გარდა ამისა, კიდევ რა კონკრეტული შედეგები შეიძლება მოჰყვას მეფუტკრეთა მონრეალის კონგრესს?

– საქართველოს მეფუტკრეთა პროდუქცია მსოფლიოში თანდათანობით ცნობადი კი ხდება, მაგრამ თაფლის რეალიზების მხრივ გარკვეული პრობლემები გვაქვს. ამიტომ, მონრეალის კონგრესი ჩვენი სამამულო პროდუქციის საუკეთესო რეკლამა იქნება. თუკი ქართული მეფუტკრეობის პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე გზას გაიკვლევს, ჩვენ იმის პოტენციალი გვაქვს, რომ თაფლის წარმოება გავაორმაგოთ.

– იქნებ რამდენიმე სიტყვით გვიამბოთ მეფუტკრეობის კანონის მიღების აუცილებლობის შესახებ.

– ჩვენი საუბრის დანწყამად თავადაც შეესწარი, რომ ბოლნისიდან ჩამოსულმა მეფუტკრემ, რომელსაც ყაჩაღანის საბადოზე აფეთქების შედეგად ფუტკარი დაეღუპა, კავშირი დახმარებისთვის მოგვმართა. საერთოდაც, ძალიან ხშირი შემთხვევები, როცა გარკვეული ღონისძიებების შედეგად ფუტკარი იხოცება, რის შედეგად მეფუტკრეებს დიდძალი ზარალი ადგებათ. მაგალითად, როცა დასავლეთ საქართველოში შესული ფაროსანას გასანადგურებელი ველ-მინდვრებისა და ტყეების შესაწამელი ღონისძიებები ჩატარდა, ამასთან დაკავშირებით მეურნეები, კერძოდ, მეფუტკრეები არავის გაუფრთხილებია, რომ სკები შეწამვის არეალისთვის მოცილებულია. შედეგად დაიღუპა ათასობით ფუტკრის ოჯახი, მეფუტკრეებმა კი დიდძალი ზარალი ნახეს. ყაჩაღანის საბადოზე აფეთქების შედეგად დაზარალებული მეფუტკრის ჩივილს, რომელთან ერთადაც არაერთი ბოლნისელი მეფუტკრე დაზარალდა, თავად შეესწარი. ჩვენ კი სათანადო იურიდიული ბაზის უქონლობის გამო ხელ-ფეხი გვაქვს შეკრული...

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ მართალია, საქართველოში მეფუტკრეობის დარგი აღმავლობის გზაზეა, მაგრამ მას მხარდაჭერა აუცილებლად სჭირდება საკანონმდებლო და აღმასრულებელ დონეებზე. გარდა ამისა, დარგში საჭიროა ინვესტიციების მოზიდვა, რათა ის შესაბამისად მომძღაპრდეს და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი იყოს.

– წელან თქვენ ბრძანეთ, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დროებით კანონქვემდებარე აქტს – მეფუტკრეობის დარგში სათანადო სამთავრობო დადგენილების, თქვენ მიერ მომზადებულ პროექტს მხარი არ დაუჭირა. კონკრეტულად რა გახდა ამის მიზეზი? განა სამინისტრო არ უნდა იყოს თქვენი პირველი მხარში ამოღდგომი და ხელის გამმართავი?

– სამინისტროში საკითხი განსახილველად იურიდიულ სამსახურს გადაეცა. სპეციალისტების აზრით, არსებობს შესაბამისი ევროსტანდარტები, ასევე ევროპული კანონმდებლობა, თაფლის შესახებ სამთავრობო სარეგლამენტო დადგენილება, რიგი სხვა დოკუმენტი, რომლებიც სავსებით საკმარისია დარგის სრულფასოვნად, გამართულად მუშაობისთვის, ამიტომაც ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა დოკუმენტის შექმნა არამიზანშეწონილად ჩათვალეს. ეს, ჩემი აზრით, მათი შეცდომა იყო, თუმცა ხაზგასმით ისიც მინდა აღვნიშნო, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობა მხარს გვიჭერს.

– ჩვენი საუბრის დანწყამად თქვენ გავკვირთ ახსენეთ ქართული თაფლის უნიკალურობა. რაში მდგომარეობს იგი და, საერთოდაც, რამდენაირი და როგორი სახეობის თაფლის წარმოება ხდება ჩვენთან, ანდა რომელი მათგანია საუკეთესოდ მიჩნეული?



– საქართველოში გვაქვს მრავალი სახეობის უნიკალური თაფლი, ისე კი მსოფლიოში საუცხოო თაფლად აღიარებულია ახალზელანდიური მანუკა, ანუ ჩაის ხის თაფლი. სამეურნეო თვისებებით მან იმ დონეზე გაითქვა მსოფლიოში სახელი, რომ ამ თაფლით დაფასებული 100-გრამიანი ქილა მსოფლიო ბაზარზე 25 დოლარი ღირს. ამ დროს, საქართველოში გვაქვს რამდენიმე სახეობის თაფლი, რომელიც თავისი სამეურნეო თვისებებით მანუკას არავითარ ჩამოუვარდება. კერძოდ, თბილისის შემოგარენში გვაქვს გარდაბნის დაცულ ტერიტორიაზე 80 ათასი ჰექტარი, სადაც შემოდგომაზე, როცა სურს გარდა არც ერთი მცენარე აღარ ყვავის, მეფუტკრეები მისგან უნიკალურ თაფლს იღებენ. ცოტა ხნის წინათ მეფუტკრეთა კავშირში ინგლისელი სტუმარი გვეწვია, რომელსაც იქაურობა დავათვალიერებინეთ, რომელიც აღფრთოვანებული დარჩა და გვითხრა, რომ ოქტომბერ-ნოემბერში თაფლის წარმოება ამის გარდა მსოფლიოს არცერთ კუთხეში არ წარმოებს! თანაც, მთავარი ისაა, რომ სურს თაფლს არაჩვეულებრივი თვისებები აქვს და ტოლს არ უდებს სახელგანთქმულ მანუკას თაფლს. მას აქვს ბაქტერიციდული მოქმედება, ამოსახვე-

ლებელი თვისება, შველის თირკმლების უკმარისობას, გააჩნია საერთო ტონუსისა და რეზისტენტობის ამაღლების, ჩირქოვანი ჭრილობების მოშუშების და, თქვენ წარმოიდგინეთ, ნიკრისის ქარის მკურნალობის უნარიც, რომელსაც სხვა არანაირი წამალი არ შევლის: საკმარისია მტკივან ადგილზე რამდენჯერმე თაფლის უბრალოდ წასმას!

დამეთანხმებით, რომ ასეთი უნიკალური პროდუქტი გაცილებით მეტ ყურადღებას იმსახურებს!

გარდა ამისა, ჩვენში ყველაზე მეტად განთქმულია მთის, ალპური ზონის თაფლი – სამცხე-ჯავახეთში, ნალკის მხარეში, სვანეთში. ჩვენთან სტუმრობდა ამერიკელი ცნობილი მეფუტკრე ტომ ნოლანი, რომელიც ჩვენებში მეფუტკრეობითა და მისი პროდუქციით იყო დაინტერესებული. მან კალიფორნიული თაფლის ნიმუში ჩამოგვიტანა, ჩვენ კი მას ნალკური თაფლის ნიმუში გავატანეთ, რომლის ერთი კილოგრამი მან ინტერესისთვის აუტციონზე გაიტანა და ის ვილაც კოლექციონერმა 600 დოლარად შეიძინა! მისი უნიკალობის შესახებ, ვფიქრობ, მეტის თქმა შეუძლებელია!

ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მეფუტკრეთა მსოფლიო კონგრესზე კიევში სწორედ ტომ ნოლანმა მიგვიწვია მე და კიდევ ერთი ჩვენი კოლეგა. თავისი ხარჯით სანევერო უსაბუნებო მან გაგვიტანა, რისთვისაც კიდევ ერთხელ უდიდეს მადლობას მოვასხენებ.

ისე კი მინდა გითხრათ, რომ საქართველოში წარმოებული ყველა თაფლი უნიკალურია და არაჩვეულებრივი თვისებებით გამოირჩევა. თითოეულ მათგანს აქვს სამეურნეო ძალა. გვაქვს ცაცხვის, ასევე წაბლისა და მაცყლის ნარევი, რომლითაც განსაკუთრებით სვანეთის მხარე გამოირჩევა, ასევე აკაციისა და მაისის თაფლი. თითოეულს გამოირჩეული სამეურნეო მოქმედება გააჩნია.

– ბოლოს მინდა, გვითხრთ, თუ რამდენად ჯდება საქართველოში წარმოებული თაფლი ევროსტანდარტების მოთხოვნებში?

– ამ წლის ივნისში ინგლისში საანალიზოდ გავატანეთ ჩვენებური თაფლის ნიმუშები და ყველამ დადებითი შეფასება მიიღო. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის სურსათის უსაფრთხოებისა და უვნებლობის სამსახური ახორციელებს თაფლის მონიტორინგს. როცა გერმანიიდან ჩამოსული ჯგუფის წევრებმა ჩვენი თაფლის ევრობაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესწავლის მიზნით თაფლის 40 ნიმუში აიღეს, ყველა ფალსიფიცირებული აღმოჩნდა(!). სწორედ ამას დაემთხვა ის გარემოება, რომ მეფუტკრეთა კავშირიდან შესამომშებლად რეგამში იყო ნიმუშები წაღებული და ოთხივემ დადებითი შეფასება დაიმსახურა.

აქამდე ჩვენში თაფლის ხარისხის შემოწმებელი ლაბორატორია არ გვქონდა, მაგრამ ახლა საქმე უკვე მის ამოქმედებაზეა მიმდგარი, რაც, დარწმუნებული ვარ, დიდად წაადგება ქართული თაფლის ხარისხს, რასაც აუცილებლად სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნამაც უნდა შეუწყოს ხელი, წინააღმდეგ შემთხვევაში ბაზარი ძალიან დაბინძურებულია.

მეორე გარემოება ისაა, რომ მეფუტკრეობაში აუცილებელია ვეტერინარიის სპეციალისტების აქტიური ჩართვა – ყოველად დაუშვებელია, რომ თითოეული მეფუტკრე წამალს თავისი სურვილისა და შეხედულებისამებრ იყენებდეს. ეს ფუტკარსაც სპობს და თაფლსაც აფუჭებს. ვგულისხმობ ანტიბიოტიკების მოხმარებას, რაც დასავლეთში საერთოდ აკრძალულია.

ესაუბრა ოთარ ტურაპელიძე

2019 წლისთვის აჭარა 27 გაყოფენაზე იქნება წარმოდგენილი

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა რეგიონი ბარსელონაში საქმიანი ტურიზმის მასშტაბურ გამოფენაზე წარადგინა. „IBTM World“-ზე დეპარტამენტი ტურიზმის ეროვნულ დამინისტრაციასთან და ტურისტულ სააგენტოებთან ერთად იყო წარმოდგენილი.

ბარსელონას საერთაშორისო ტურისტული გამოფენა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოფენაა მსოფლიოში, რომელსაც წელს 141 ქვეყნის 15 000-ზე მეტი წარმომადგენელი ესწრებოდა. დეპარტამენტის წარმომადგენლებმა გამოფენის ფარგლებში 40-მდე საქმიანი შეხვედრა გამართეს კომპანიებთან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქართველოში, კერძოდ კი აჭარაში საქმიანი შეხვედრების, ღონისძიებებისა და კონფერენციების გამართვით.

წელს დეპარტამენტმა რეგიონის საზღვაო და სამთო ტურისტულ პროდუქტებს პოპულარიზაცია 25 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენასა და ღონისძიებაზე გაუწია. მათ შორის იყო ისეთი მსხვილი და მნიშვნელოვანი გამოფენები, როგორებიცაა ბერლინის, ფრანკფურტის, ლონდონის, მადრიდის, დუბაისა და თელ-ავივის გამოფენები.

2019 წლისთვის, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი რეგიონის რეკლამირებას 27-მდე საერთაშორისო გამოფენაზე გეგმავს.



ყოველკვირული ლიტერატურულ-კულტურული ჩანაწერი №268

დავით ნარაძის ჩანაწერების გამოქვეყნების შემდგომ არაერთი მკითხველი გამოგვცხადებდა. სასიამოვნოა, რომ ამდენი ადამიანი იზიარებს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ ტექსტებს თუ მის ელექტრონულ ვერსიას. დაპირებისამებრ გთავაზობთ ბატონი დათოს ამ მნიშვნელოვანი ჩანაწერების გავრცელებას, ახლა უკვე თემატურად დაჯგუფებულს, სათაურით „ერთი ამბავი სპარსული“, რომელიც რუსთაველოლოგიის სფეროში უაღრესად საინტერესო მოსაზრებებს და მტკიცებულებებს შეიცავს.

მართალი სამართალი რუსთაველისეული ტერმინია თუ იქამდე არსებობდა, ჩვენ ეს არ ვიცით. საიდან მომდინარეობს, მაგის დაზუსტება უსათუოდ საჭირო საქმეა, მაგრამ რას აღნიშნავს, ამას პოემის ტექსტიც არაორაზროვნად გვეუბნება. ეს არის არა კანონზე, არამედ სიმართლის შინაგან განცდაზე დაყრდნობით. სიმართალი, სუბიექტური სამართალი, მაგრამ იგი აუცილებლად ობიექტურ საყრდენსაც საჭიროებს, რადგან მანაც სამართალია და არა თვითნებობა. შეყვარებულებს კი სასწორის პინაზე არაფერი აქვთ დასადები, ერთმანეთისადმი სიყვარულის გარდა. მათი სიმართლე პირქმინდად სუბიექტურია და მან გმირები სასჯელი-საგან ვერ იხსნა.

თუ როგორია, პოეტის აზრით, სწორად აღსრულებული სამართალი, ამის მაგალითს ისევ შარშიონის „არამეთთან“ მიეყვანოთ. ავთანდილი კლავს ჭამხაგინს, სიუჟეტურად ეს პასაჟი აუცილებელი ნამდვილად არ არის, გვერდის ავლა უმტკივნეულოდ შეიძლება, მაგრამ აუცილებელია, როგორც პარალელი, პარადიგმა. ავთანდილი კლავს ჭამხაგინს და განგებისაგან არ ისჯება. კანონი ავთანდილს დამნაშავედ გამოაცხადებდა, მაგრამ მართალი სამართალი არ მიიჩნევს დანაშაულებად უკადრებლის მკადრებელი კაცის დასჯას, როგორც იყო ჭამხაგინი, და ეს სრულიად საკმარისი ობიექტური საყრდენია, თუმცა ავთანდილს, და ეს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, ზურგს სიყვარულის ნაძვლით გრძობდა არ უმაგრებს. მაგრამ განგება არაფრით ავლენს თავის არსებობას, რაც იმის ნიშანია, რომ ცნო ავთანდილისეული სამართლის სისწორე. ხოლო „ინდოთა“ სამართალი არ ცნო.

...„არამეთი“ და „ინდოთი“ – ორი გზა და ორი დამატებული განსხვავებული შედეგი. საქართველოშიც მოვლენები შეიძლება ორივე გზით განვითარდეს, გვეუბნება ორმაგი ქარვა, ჩვენზეა, როგორ მოვიქცევით, რას ვიზამთ. აქ კი ძველ ცოდვებს ახალიც დაემატა, რუსი უფლისწულის ამბავი, სახელმწიფო რომ კარგა ხნით არაა და შინაომამდეც მიიყვანა. ეს ამბავი ჯერ კიდევ იმდენად ახალია, რომ შეუძლებლად მიმაჩნია, ხვარაზმელის ეპიზოდს გამჭვირვალე მინიშნებად არ მივლით. პარალელი ცხადია და უქვევლი. ოფიციალური წყარო იური ბოგოლოუშის მოკვითას – მისი საბოლოო მედი აქ არ მოიხსენიება – იმით ამართლებს, რომ მას ყოველგვარ მიღწევაზეა საწყისად გვიხატავს. ძნელია, ვერაფრით ამ შავი ფერებით გადამიმეგულ პორტრეტს, პირიქით, ძალიან ფართო ასპარეზი რჩება ეჭვისათვის, იმდენად ცდილობს ოფიციალური ვერსია, ყველაფერი მას გადაამართლოს. მხოლოდ შთამბეჭდავ განეგნობასა და ომში სიმამაცეს არ უკარგავს, ნახევარ საქართველოს საკუთარი თვლით ექნებოდა ნახი. შინ კი, ოთხ კედელს შორის, რა ხდებოდა, მიდი და არ ვიცი. ის, რაც მას შესწამეს, სამართალი რომ აფილიყო, უკან მოსაბრუნებელი პირი აღარ ექნებოდა, არც გვერდით აღარავინ დაუდგებოდა. იგი კი მოზრუნდა და მაგნატიკონთა ტახტი, რომელზეც არავითარი უფლება არ ჰქონდა, კარგა მაგნად შეამანბანა. მას რომ დემნა ბატონიშვილის უფლებები ჰქონოდა, შესაძლებელია, ყველაფერი სხვაგვარად წარმართულიყო.

საოქრობელია, რომ იგი დაუნდობელი ინტრიგების, დიდი პოლიტიკური დაპირისპირებების ხლართში მოჰყვია. ან კიდევ ჯიქურ სყადა, მართვის ყველა სადავე ხელთ ავლო, როგორც

მისი წინაპარი ვიკინგები იქცეოდნენ. ასეთ შემთხვევაში გასაკვირი სრულყოფილი არ არის, რომ მეორე ჯერზე საქმე საინიციატივოდ აღარ გაიხადეს და ყველა უცხო სასიძოს კარგად ნაცნობი უსახური სოსლანი არჩიეს.

რასაკვირველია, ყველაფერი ეს ვარაუდების სფეროში რჩება, მაგრამ პარალელი ჩრდილოელ უფლისწულთან, როგორც უკვე აღვნიშნე, ცხადია და უქვევლი. ისიც აშკარად გამოსჭვივის, რომ რუსთაველი ქართულ სამეფო კარს მაგ საქმეში არ ამართლებს. და, რაკი ახალშექმნილ ნაწარმოებს იდე-

დათო ზერაძის „თემა და პარიასიები“

გაგრძელება

ალურობის სამურველი ჯერ კიდევ არ ემოსა, წამოთხვევით ძალიანაც არ გაუჭირდებოდათ ამის დანახვა. ხვარაზმელის ეპიზოდს აქცენტი არ უკეთდება, მაგრამ უმაგისოდაც მკვეთრია, რადგან სიუჟეტურად ცენტრალური ეპიზოდია, ფაბულის ყველა ძაფი „არამეთში“ უცხო მოყმის დამოწმებით ქაჯეთის ციხის აღებამდე აქ ინასკვება. ვფიქრობ, ცენტრალურია მწერლის პირობების თვალსაზრისითაც, თორემ ამდენი მორალისტური განსჯის საგანი არ გახდებოდა, მგერა ძალაუფლებურად მასზე ფოკუსირდება. მაგრამ ავტორი კიდევაც რომ ამართლებდეს, სამეფო კარისათვის ხვარაზმელის ამბავი ასეთ შემთხვევაშიც მეტად საჩოთირო იქნებოდა და მას დასტურს ვერ დასცემდა. აგრეთვე ვერც ნესტანის სახეს დასცემდა დასტურს, თუ მას თამარის ორეულად მიიჩნევდა. და მხოლოდ იმის გამოც არა, რომ ხვარაზმის მკვლელობაში მისი ხელი ურევია.

